საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას უცხო სახელმწიფოში გაცემული დოკუმენტების დამოწმების გარეშე საქმისწარმოებაში დასაშვებობის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად:
  - სხვა სახელმწიფოში გაცემულ დოკუმენტს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ის ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

  აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის 71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს ხსენებულის გამომრიცხავ დებულებებს (სხვა სახელმწიფოში შესრულებულ დოკუმენტებს ნოტარიუსი საქმისწარმოებაში მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით კანონმდებლობით დადგენილი წესით, <u>გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დოკუმენტის ლეგალიზაცია არ მოითხოვება</u>). ხსენებული გარემოებამ შესაძლებელია არაერთგვაროვანი მიდგომები/ პრაქტიკა შექმნას სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილების მქონე პირთა შორის, რაც მოითხოვს დროულ რეაგირებას. კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი წინააღმდეგობაში მოდის კანონით დადგენილ ჩანაწერთან. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს რიგი საერთაშორისო შეთანხმებებით შესაძლებელია უქმდებოდეს ხელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე დოკუმენტების დამოწმებული სახით წარდგენის საჭიროება, ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის ზემოხსენებული მუხლით დადგენილი განსაზღვრება არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ).
  - **პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** საქართველოს სანოტარო კანონმდებლობაში საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ნორმების გათვალისწინება/ ასახვა.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის 22 იანვრის

მინსკის კონვენციის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილით[1] დაწესებული შეღავათი არის არა დოკუმენტების ჩაბარების შემადგენელი ნაწილი, არამედ დამოუკიდებელი შეღავათი. ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც შედგენილი იქნება ერთ სახელმწიფოში ოფიციალური წესით, ოფიციალურად მიიჩნევა მეორე სახელმწიფოში, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს: სამოქალაქო აქტები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ცნობა შრომითი სტაჟის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ ცნობა და ა.შ. საგულისხმოა, რომ მინსკის კონვენცია და საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები[2] აღიარებს ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას მემკვიდრეობით ურთიერთობებში. კერძოდ, ისინი განსაზღვრავენ, რომ ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მცხოვრები მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ ისეთივე მემკვიდრეობითი უფლებებით (მათ შორის: მემკვიდრეობის მიღების, დატოვების, ანდერძის და სხვ.), როგორითაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები. შესაძლოა მემკვიდრეობითი უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებული პროცესი ასევე მოიცავდეს საქმისწარმოებაში ხელშემკვრელი უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტების ყოველგვარი დამატებითი დამოწმების გარეშე მიღებასაც. ამას გარდა, მინსკის კონვენცია და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან, უზბეკეთის რესპუბლიკასა და ჩეხეთთან[3] გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები მსგავსად განსაზღვრავენ სამემკვიდრეო საქმეების წარმოებაზე კომპეტენტურ (1) იუსტიციის დაწესებულებებს (ადმინისტრაციული წარმოება) და (2) სასამართლოებს. ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ტერმინში – „იუსტიციის დაწესებულებები" – შესაძლებელია, ასევე მოექცეს ნოტარიატიც. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სამართალურთიერთობებში, საქართველოში მოქმედი

---

1 დოკუმენტები, რომლებიც დამზადებულია ან მისი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი ფორმით, დამოწმებულია ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და განმტკიცებულია გერბიანი ბეჭდით, სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე მიიღება რაიმე სპეციალური მოწმობის გარეშე

[2] საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სფეროში, მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციების გარდა სახელმწიფოებს გაფორმებული აქვთ კონკრეტულ ქვეყნებთან ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებიც. საქართველოს სამოქალაქო, საოჯახო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს აზერბაიჯანთან, თურქეთთან, თურქმენეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთთან, საბერძნეთთან, ხოლო სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ბულგარეთისა და სომხეთის რესპუბლიკებთან.

[3] კვიპროსის რესპუბლიკისა და ჩეხეთის შემთხვევაში სამართალმემკვიდრეობა აღიარებულია შემდეგ შეთანხმებებთან მიმართებით: „საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" 1982 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება და „კვიპროსის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ" 1984 წლის 19 იანვრის შეთანხმება;

ნოტარიუსის ჩართულობის შემთხვევაში, შესაბამისი სანოტარო მოქმედებების შესრულებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელზეც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები მიუთითებს[4]. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით კორექტირება.

- **კანონპროექტის მიზანი:** „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმის საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტის ახალი რედაქციის შესაბამისად, კანონის 55-ე მუხლში შევა ცვლილება, რა დროსაც მას ასევე დაემატება ლეგალიზაციის და აპოსტილის წესით დამოწმებული დოკუმენტების მოთხოვნის შემზღუდველი გარემოებების შესახებ სიტყვები/ ჩანაწერი".

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: [redacted]

22/07/2022

[4] საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2018. თბილისი, გვ. 126-127. იხ. ბმული: http://lawlibrary.info/ge/books/giz2018_ge_saert_samoq_urtiertdaxmareba_samoq_saqmeebze.pdf

პროექტი

საქართველოს კანონი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა სახელმწიფოში გაცემულ დოკუმენტს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ის დადგენილი წესით ლეგალიზებულია ან დამოწმებულია აპოსტილით, <u>გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით/ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით[5] სხვა რამ არ არის გათვალისწინებული</u>“.

.

მუხლი 2. „ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“.

---

[5] “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია.